ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 229

"24" მაისი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდები: №01.19.20.020.135 და №01.19.20.020.069) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდები: №01.19.20.020.135 და №01.19.20.020.069) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის №24.680.784 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.020.135 და №01.19.20.020.069) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქი თბილისი, სამგორის რაიონი, მასივი 3 (საკადასტრო კოდები: N01.19.20.020.135 და N01.19.20.020.069)

N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული, შენობის ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ნელი თათამვილი	01028007470	სართული 1, შენობა N2	57.44	01.19.20.020.069.02.501
2	ნინო ჯულაყიძე	37001058631	შენობა N3	2.5	01.19.20.020.069.03.500
			სართული 1, შენობა N2	48.74	01.19.20.020.069.02.502
3	მთვარისა თათარამვილი	16001021310		47.88	01.19.20.020.135.02.500
			სართული 1, შენობა N1	30.98	01.19.20.020.135.01.504